

ტკინის გზებზე!

№ 40

1920 წ.
აგვისტოს 29



სადღურის უფროსი. ბატონო მინისტრო! ჩემდამი რწმუნებულ სადღურზე ყველაფერი სრულ
 წესრიგზეა და ტკინის გზის მოხელენი ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან.
 ბ—ნი მინისტრი!?!..

ს ა მ ო თ ხ ე შ ი

წელიწადი, მაგრამ დარბაისილოური ნაბიჯით ავიდა ბრალდებული ტრიბუნაზე. თვალი მოავლო სმენად გადაქცეულ საზოგადოებას და დაიწყო:

— მოქალაქენო! ყველაფერი რაც აქ ითქვა ჩემს შესახებ არის სრული სიყ...

ბრალდებულს ფერი წაუვიდა... მთელმა ტანმა კანკალი დაუწყო... სპეტაკ წვერზე ორი ობოლი ცრემლი ჩამოუვარდა და გული შეუწყუნდა. მყისვე დინჯათ წარმოსდგა საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე და განაცხადა:

მამულიშვილნო! ვინაიდან ბრალდებულს საშუალება არა აქვს სიტყვის წარმოთქმისა, სხდომას ვხუროვ მომავალ ხუთშაბათამდე.

ხალხი დიდის ჩიჩქოლით და კამათით დაიშალა. (ჩვენც მოუცადლოთ).

ეშმაკი.

კ ო შ მ ა რ ი.

ამ თვის 10-ს ჩემი ცოლისაგან (სააგარაკოთ არის წასული) შემდეგი დეპეშა მივიღე: „ПЛЕТВИСЬ АНТЕБА МАКВЕСЬ ПОИХАЛЕСЬ ЖОМИЩАРИ. ШИРАБИ.“ ჩემს ცოლს მხოლოდ ბაბო ჰქვიან და ეს წინა „ბი“ ეტყობოდა, გულუბგი ტელეგრაფისტის უფასო მინამატი იყო.

ამ დეპეშამ დიდ სავარაუდოებში ჩამავლო და სულ მთლად ამირია დავთარი.

თვალწინ დამიდგა სულთ მობრძავი ჩემი ცოლი ისე ნათლად, თითქოს იქვე ვყოფილიყავი და წამსვე გაჰქრა ყველა იმ უსიამოვნებისა და ტანჯვანაშვების მოგონება, მე რომ იმისგან მახსოვდა.

— უნდა დაუყოვნებლივ წავიდე!—ფიქრობდი მე: მართალია, კანონიერი ცოლია ჩემი, მაგრამ პინც ხომ ადამიანის შვილია... ესეც არ იყოს, ჩემი ბავშვების ღვიძლი დედაა. ეს მე ბევრათ უფრო დარწმუნებით ვიცი, ვიდრე ის, რომ თვით მე იმავე ბავშვების ღვიძლი მამა ვარ... მაშ უნდა წავიდე უახლოესი მატარებლით!

ჩემი წასვლა კი მრავალ უსიამოვნებასთან იყო დაკავშირებული.

ჯერ ერთი—ფულის შოვნა. მომავლად ადამიანთან მივიდიოდი ამ სიძვირის დროს, ვინ იცის, რა იყო მოსალოდნელი და ფული ბლომით უნდა შემოვნი.

მეორე—იმ აწყობილი ცხოვრების დარღვევა, ძლივს რომ მოვავდარე ცოლის სააგარაკოთ გაშვების შემდეგ.

მესამე—სწორეთ მეორე დღისთვის, ე. ი. ამ თვის II-სათვის, ერთ კობწია დენიკინელ რუსის ქალს შევპირდი ბოტანიკურ ბაღში ხლება (სამეც-

ნიერო მიზნით, რასაკვირველია, თორემ აბა პოლიტიკური პლატფორმა ხომ არ შეგვავრთებდა მე და შვარცმელ რუსის ქალს)...

დილის ათი საათი იყო და უახლოესი მატარებელი ოთხის ნახევარზე გადიოდა.

ფულის საქმე ერთ საათში მოვავდარე: დემრთმა უშველოს პატივცემულ პარტენ გოთუას და შეუნდოს ყველა ის შეცოდება „ეშმაკის მათრახს“ რომ მის წინაშე მიუძღვის! თვალის დახამხამებაში განაღდებინა ჩემთვის ცენტრბანკს ხუთი ათას თუმანიანი თამასუქი.

ხელად ჩავალაგე ჩემოდანში საგზაოთ საქირო ნივთები და პირველ საათზე საბილეთო კასის წინ ვიყავი ატრუხული. მართალია, მატარებლის წასვლამდე ორ-საათ-ნახევარი რჩებოდა და კასის გაღებაამდე კი საათნახევარზე მეტო, მაგრამ დროითვე სჯობდა გარჯა, რათა საქმე საეჭვოთ არ ყოფილიყო და ბილეთი დანამდვილებით მეშოვნა.

რიგში პირველი მე ვიყავ, ზედ კასასთან ვიდექ და გული საგულეს მქონდა.

როგორც იყო გავიდა საათნახევარი და გალო კასის სარკმელი. ის იყო წინასწარვე დამზადებული ფული უნდა მიმეწოდებია კასირისათვის, მაგრამ, ვნახოთ, თოფინამა დარაჯმა შემაჩერა და მეორე მხრიდან მომდგარი კაცი მიუშვა ჩემ მაგიერ.

მხოლოდ ეხლა შევამჩნიე, რომ იქ, მეორე მხრიდანაც სულ რაღაც ხუთ წუთში თითქმის იმ-სიგძელე კული გამართულიყო, როგორც აქედან: მოდიოდნენ, რაღაც ბარათებს უჩვენებდნენ წესრიგისათვის დაყენებულ დარაჯს და ესეც ჩემს გაშვებრილ ხელს გასწევდა და იმათ უთმობდა ადგილს.

ბარე ოცჯერ გავიშვირე ხელი და ოცივე ჯერ შემაჩერა დარაჯმა. ბოლოს რომ დავიღალე, თავი დავანებე ამ უნაყოფო ხელს შევერას და მორჩილათ დაიწყე ცდა.

აი, უკანასკნელმა ბარათიანმაც იყიდა ბილეთი. ეხლა კი დაუბრკოლებლივ შევყავი ფულიანი ხელი კასის სარკმელში, მაგრამ კასირმა მომამახა—„НИ-ЛЕТОВЪ НЪТЪ“-ო და დროზე რომ არ გამომეტაცებია შეყოფილი ხელი, უეჭველათ წამაწყვეტდა მაჯაში, ისე მოსხლეტით დაუშვა სარკმლის დარაბი.

ქეშმარიტად, არასოდეს არ ასრულებულა ასე ზედმიწევნით ქრისტეს სიტყვები—პირველნი იყვნენ უკანასკნელ და უკანასკნელნი პირველნი—ო; მე და ჩემთან ორასიოდე კაცი, ვინ იცის, როდის მოსულელები, პირში ჩალა გამოვლებულნი დავრჩით და იმ ჯაღა-ბარათიანებმა კი რამდონიმე წუთში მოავდარეს საქმე!

რაღა გზა მქონდა! უნდა შემდეგი მატარებლისათვის მეცადა, მაგრამ მაშინ კი ვიშოვიდი ბილეთს? ჩემდა ბედათ, ერთ მოგზაურს, რალაქნარიად ზედმეტი ბილეთი აღმოაჩნდა მცხეთამდე და ამან მიხსნა. მცხეთამდე ხომ მივალ და იქ ავიდებ რო-

გორზე ბილიტის-მეთქი, გადაწყვიტე გულში და მატარებელში ჩაჯექი.

მცხეთას რომ მივთხოვდით, აღრიგე შიგ ვაგონის კარებში მოვახერხე განჩინება, რომ ხდრითვე ჩავსულიყავი და ბილიტის-აღება მომესწრა.

ასეც მოვიქეცი და დაიპირდაპირდა თუარა მატარებელი მცხეთის სადგურს, საჩქაროთ ჩამოვედი ბაქანზე და საბილიტო კასისკენ გადავსურე.

— უკაცრავად, ბატონო! შეჩერდით, თუ შეიძლება! — მომესმა უკანიდან და ვიღამაც ხელი დამაღო მხარზე.

მოტრიალდი. ჩემ წინ რკინისგზის მილიციონერი იდგა.

— ინებებ ჩემთან წამოსვლა! — შითხრა მან.

— სადა? რისთვის? გაც-ირიგებით ეკითხე მე.

— თქვენ მატარებლის განჩინებამდე ჩამოხვედით ვაგონიდან... ამისთვის ჯარიმა უნდა დადაინახოთ. ხომ მოგეხსენებათ, რკინის გზაზე სახვედრო წესებია გამოცხადებული.

— მე ეს არ ვიცოდი და თუ აუცლობელია, მოგართმევთ ჯარიმას. რამდენი გირგდებათ? აჩქარებით ეკითხე მე რაღაღ-მეწინააღა, რომ ბილიტის აღებას ვერ მოვახერხებო.

— ეგრე არ იქნება, ბატონო! ოქმი უნდა შევადგინოთ და კვირანაცია მოვკეთო.

— გათხოვ, რიბანას ნუ გაშიარებთ ძალიან მტკარება, ცოლი მყავს ძლიერ ახალ და ბილიტის აღება უნდა მოიასწროს—გთხრო მე რა გადაყვი, რაკი ნათლად იხიდავლი რომ სხვა გზა არ იყო.

ოქმი რომ შეადგინის და ათასი თუმანი ჯარიმა გადამახდევინეს, შესაძრე ზარკი გაიშა. სასწრაფოთ ამოვიქეცი და კიბიზე აიხარი.

ის იყო ვაგონში უნდა შეივლიყავი, რომ უცებ ვიღამაც თხებში დაშვდილი ხელი და გამ ჩირა, რომ მოტრიალდი, იგივე მილიციონერი დაინახე, თხებში მივიდებოდა და დაძრულ მატარებელს შინაწევდა.

— რა გნებადეთ? — აშფოთებით დაგყვირე მე.

— თქვენ მესამე ზარს შემდეგ შეჩვედით კიბეზე. უნდა ოქმი შევიდგინოთ და ჯარიმა გადაგახდევინოთ!

— როგორ ჰხდებოდათ გამშივით ენლავე! გარაზებით ვყვიროდა მე, მაგრამ მილიციონერი არ შეშვებოდა, უფრო მაგრათ მიქურდა ხელს ქიეთ მიმათრედა და მატარებელთან ერთად თითონაც უშატებდა ნაბიჯს.

არ ვიცი, რამდენ ხანს გავრძელდა ჩვენი კიდილი. დაახლოებით, ასე, მგოთხე ვერსზე სადგურიდან მილიციონერმა მძლია, მე ყირამალა წამოვედი საფეხურიდან, დავეხეთქე მიწაზე და გული შემიღონდა.

გონს რომ მოვედი და თვალი გავახილე, ისევე მცხეთის სადგურზე ვიყავი, იმავე ოთახში ივიტა-

ნეთ, სადაც ოქმი შემიდგინეს და ჩემს გაშობრუნებას უცდიდენ ახალი ოქმის შესადგენათ.

თავუწა.

(დასასრული იქნება)

„მ გ ე ბ უ ლ ე ბ ა“

— ქეთო! დიუ ტებე ჩენსოგ სლოვო, ჩტო, ია ტუტ ნი პრიომ... ხომ იცი მისი ამბავი, ამეკიატა ქალო და აღარ მომშორდა... საზჯერ დავაბირე გაქცევა, მაგრამ... ნე უღობნო ბილო...

— უნდა იცოდე ჩემო ბატონო, რომ შე სამსახურის ქალი გახლავარ, შენი გულისთვის უფროსი მოვატყუილე, ავადმყოფობა მოვიგონე და წამოვიღი, მაგრამ რას ვხედავ: მთელი საში სათი ვიდექი იქ და არ მოხვედი, ზერე სრულიად შემთხვევით გადავიე, რომ შენ მასთან ქართულ კლუბში წაბრძანებულხარ და მე კი წყნეთის ქუჩაზე მალრიდნებ... ია ტაკ რაზახლილას, ჩტო ცელი ნონ ნე მავლა უსნუი... კიდეე კარგი, რომ იმ გულზე არ შემხვდი, თორემ ბოღ ზნაეტ ჩემ ზაკონჩილასბი გტა ისტორია...

ვინაა?. მესამე გვიშლის ვალაცა ტელეფონში...

— ნე მეშაიტე მოგა რადი, ია გავარიუ ზადელამ სლუეტი...

ნუ თუ არ უნდა შეპატიო? შენ შარაილია ნაწყენი ხარ, მაგრამ არც მე ვარ დიდათ ნასიშონები... იცი რას გეტყვი? მოდი, როგორც მოაწვევ და ორი კვირით შევებულება იიდე...

— რა ავილო?

— შევებულება...

— ნე პანიშიუ ჩტო ტა ხოჩეშ სკახატ...

— ოტპუსკ ნა დეე ნედელი...

— ააა... ეს კარგია, მაგრამ...

— კარგი კარა კარზე შეტია... შე ამ ტოტა ხანში კოჯორში წაიღე ერთი თვით დასისვენებლად, უმენია ტამ ესო ესტ, შენც ამოხვალ და ვაქნებით ერთად...

— კარგი, მაგრამ, პოზაკონუ მენ ოტპუსკ ნე ჰალავაეტსა, ია იშჩო ნე პრასლუელა შესტ მესიაცვი...

— მაგის წამალს შე გაწავლი, წალი ჩენს ლაზარეთში, ერენე ექმს და სთხოვე დაგინინონ კამისია...

— როგორ?.. ველ ია საყერშენო ზღაროვა, ნიჩევი ნე ბალტ...

— ქალო, ნე ბალიტ რომელია, მიდი ექ-მთან და უთხარი ავად ხარ... სკაეი ჩტო ტი პანანამ პატეეშ, ნი სპიშ, აპეტიტა სავსემ ნეტ, უტრომ კავდა ესტაიომ გალავა კრუეტსა, თვალთ გიბნულდება. ხშირად სუსტდები, უბრალო რამეზე ჯავრი მოგდის, ბრახდები და სხვა, დაგანიშნავენ კამისიას და არა თუ ორი, შეიძლება სამიკვირითაც

საგარეო გასართობები.



„რა იხილეს ხატვა მისი, ჭერეტად მხეცნი მოვიდინან;
 მისვე ხატვის ტრფობისაგან ხით ფოთოლნიც ჩამოსხდინან.
 იჭერეტდინან, გაჰვირდინან, რა ასტირდის ასტირდინან...
 ხატას „გულთა განგმირულთა“ ღვარისაგებრ ცრემლი სდინან...“

კი გავანთავისუფლონ. ჩვენი ბარიშნები ასე არ
 შევბიან ყველანი? შენ ვითომ სხვაზე ნაკლები
 რითა ხარ?

— კტო-ტო აპიატ მეშაეტ...

— ნე მეშაიტე რადი საზდატელია, ია გავა-
 რიუ პადელამ სლუები.

— კი მარა მე, რომ არც ერთ ექიმს არ ვიც-
 ნობ, როგორ მოვიქცე?

— ეგეტ აღვილია, მოდი ამაღამ ქართულ
 კლუბში და მე გაგაცნობ ყველას, იქ იქნებიან
 უსათუოდ თავიანთ „სესტრებითა“...

— მაშ კარგი მოვალ უსათუოდ...

— ნე მეშაიტე... ბატონო მე აქ საქმეზე ვლა-
 პარაკობ და თქვენ კი მიშლით... ქეთო!.. ქეთო!
 ტი უშლა? პერებილი...

— პერებილი, რომელია კაცო, ამდენ ხანს
 რითვერ გაათავე ლაპარაკი, ტელეფონში არშიყობა
 გავონილა?

კტო გავარიტ?

— კოლია...

— ააა... შენა ხარ კოლია? არშიყობა კიარა
 კაცო, საქმეზე ვლაპარაკობდი, ჩემო ძმაო, თეი-
 თეული წგრიმალი თუ არ აღუსენი ისე ვერას აკე-
 აებენ მეტადრე ჩვენი ქილები... შეჭყარეს კანცე-
 ლარიებში ვინც არგინდა და უბრალო სიტყვა
 შეგებულემა რაარის ისიც კი არ იციან მოდი შენ
 ახლა და სერიოზული საქმე შიანდე გასაკეთებლად...

— მაგაზედ შედეგ ვილაპარაკოთ, შენ ერთი
 ეს მითხარი ამაღამ მოხვალ იქა? ანა ჟდიოტ ნას...
 ისიც ჩამოვიდა შენ რომ იცი...

— ნუუ მართლა? მოვალ მაგრამ ცოტა შემა-
გვიანდება... დღეს ძალიან დავიღალე ბევრი მუშა-
ობით და საღამოს მინდა ცოტა შევისვენო...

— მაშ მოგელოდები, უსათუოდ...

— გეუბნება მოვალ ხოლო ცოტა გვიან...

— ჰაჰა...

— ვსევო...

ესეც ასე, ჯერ კლუბში წავალ ქეთოს ვნა-
ხავ, ექიმებს გავაცნობ... მერე კი ნაღასთან...

ჩამოსულა... ვინ იცის როგორი ჩასუქებულია...
ოჰ, ნადია, ნადია, რა გოგონა ხარ... ადგილსაც
მთხოვს... უნდა მოუწყო, რამე, მაგრამ ქართული
რომ არ იცის კარგად? ნუ, ნეჩევიო... საიდიოტ...
მე კი ბევრი ვიციოდი, რომ ასეთი ადგილი და
თანამდებობა გავიკარი?!

რ. ჯიბილ.


შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა.

(დასასრული.)

იგი დამე უბედური პახოშს ქუჩად ჩაეძინა,
ქვრივთან მისვლა ვერ გაჰბედა, ერთობ იწრო ჰქონდა ბინა,
კლუბებიდან მოესმოდა ღრიალცელი, ვითა გრგვინა:
მდიდრებსა და ბედნიერებს შუა დამემდე მოეღბინა.

დილით ადგა უძინარი, გააღვიძა ძაღლმა ორმა.

სთქვა:— მოვნახავ მიწის მინისტრს, იქნებ მომცეს ერთი ნორმა,
ვითხოვ სახნავსა და საძოვარს იზალახოს ცხვარმა, ღორმა
იმავე სადგურს მიაშურა, ვერ შეაკრთო გზამა შორმა.




ნახა სტოლი, სტოლთა მეფე, ერთ ნორმაზე უფრო ვრცელი
იმა მხრიდან კაცი ეჯდა; ჰკითხა: ვინ ხარ? რა სოფელი?
აქ მე ვერას გამოვარკვევ, მიდი ნახე ჩაღუნელი,
იმა ყმაწვილს აბარია აქ საფონდო მინდორ ველი.




შახომ გარე გამობრუნდა ჩადუნელის სანახავად
 შაგრამ კვალი აჩრია და წავიდა საქმე ავიდა.
 იქ შვიდა, სადა სხედან ხალხნი ტყეა დასაცავად
 შეუბღვირეს. ჟუკოქცა იშა ნორმის უკითხავად.




დაგვიდონდა შახომ ძლიერ, სვედამ სრულად დაიშინა
 დარბის იღმა, დარბის დაღმა, შაგრამ ვერც ვერ იღონა,
 მისი აჯა ვედრებანი შუნ ხრავინ არ იგონა
 ცრემლოები და ოფლი ჰღვარა მდინართა და ზღვართა წონა,
 საშინაო სამინისტროს მისდგა კარებს განამწარი.
 მხედავს სხედან მოხელენი მნელ საქმეზე მწყობრათ მსხდარი
 გაუშლიათ ვაზეთები, „კომუნისტთა“ მთელი ჯარი.
 შაზრობენ და ჰკითხულობენ, მათ ოფლისა დასდით ღვარი.



პაპომ უკუ წამოვიდა; მისთვის არცის არ ეცაღა.
 გზაში მუხლი მოგვეცა, ფეხებისა შეკრთა ძალა.
 მან სამხედრო სამინისტროს განიზრახა გზადა გავლა
 შეხებდა და გამობრუნდა, შარვალოთაგან ეცა დაღლა.




მიატოვა იგი სახლი და გაიქრა პაპომ განსა
 საფინანსო სამინისტრო გადასწყვეტსო ამ საგანსა.
 მივიდა და ნახა ნახვა, ენა ვერ იქმს გასაქანსა
 ოთხი კაცი ერთ ოთახში სტოლს ახდენდა ბარაბანსა.



პახომ იტყვის გულ მოკლული:—ჯოჯობეთი თუა ტოლი,
რაც მე ტანჯვა განვიცადე და გულს სევდა მონაწოლი.
მოდი ერთი ვინახულო რესპუბლიკის მე კანტროლი.
მივიდა და ნახა, მაგრამ უკუიქტა შენაკროლი



სირცხვილი და გაჭივრება ერთსა ერთი დაემატა
პახომ დარღმა დაანელა, დაეკარგა ყოვლის მაღა.
სთქვა:—სამართლის მინისტრს ვნახე და ვუჩივლებ ყველა მათი
ამ განზრახვით, უბედური, სამართლისთვის გაემართა.
ნახა კაცი მოსულიყო, ჰგავდა იყო მომჩივანი.
თან ბალიში მოეტანა, არა უნდა მას მტკივანი.
ჯიკითხა და გაიგო, „აქ უნდაო დიდი ხანი“...
პახომ ენახე შენაშფოთი და შიშისგან ანატანი.



სამსჯავროდან გაქცეული ეშმაკისკენ გაეშურა.
 ოფლი ღვარათ დასდიოდა, ცრემლი ცრემლად მოეწურა.
 სთხოვა: — დამხსენ ამ სატანჯველს, გამინელე ტანჯვა, ურვა.
 გამაშორე ამა საქმეს, ჯოჯოხეთი მომესურვა.
 ეშმაკმა ის დაამშვიდა და ჩიკრა გულში შეიღო.
 უთხრა: ახლა, მეგობარო, გიცნობ ტანჯვა გარდახდილად
 შეუფესთან დაგაბრუნებ, ის შეგხვდება გულ კეთილად
 ცოდვა ყველა გეპატიოს და სამოთხე გერგოს წილად.

უსტარი ეშმაკისადმი

ცოლი თუ უცოლობა.

(ფიქრები საქანდითპროზი.)

ძღვნათ ტ-შას და ლ-იას.

ბატონო ეშმაკო გთხოვ დამიგდო ყური:
 გაჭირდა ცხოვრება ძვირობს მეტად პური,
 მიხსენ განსაცდლისიგან მიყავ საქმე ძმური
 საღმე მომიხერხე ბინა, საშახური,
 სულით, გულით მინდა გავხდე კომისარი,
 რომ ჩარჩ-სპეკულიანტს გამოეწურო „ძარი“
 მომეშველე აქა, დამიჭირე მხარი.
 მსურს წლის ბოლოს გავხდე კაკოს თანაბარი.
 არც შენ დაგივიწყებ, მოგცემ ნახევარსა
 (ჯამაგირს კიარა შენაძენ ქანქარსა)
 ეტლით დაგატარებ ამ ჩვენ მთა და ბარსა
 (ეტლი მეყოლება როგორც კომისარსა)
 ოღონდ შემისრულე ძმავ ეს სათხოვარი
 არ გამოჰკრა ყელი და არ მითხრა ვარი,
 ყოველ დღე შეგვაძოთ თითომ თითო ცხვარი.
 ოხ რა გულით მინდა ვიყო კომისარი
 სახარჯავით მქონდეს ბლომით მე ქანქარი
 ჩინით და „პოვონით“ დამიმშვენდეს მხარი
 დმერთო ჯერ ნუ მომკლავ ამას მომასწარი
 რომ ამბობდნენ ჩემზე: — „ჩვენი კომისარი“!

გ. ბომბოთელი.

გულჩვილი და სანტიმეტალი კაცი არა ვარ: ჩემს
 სიცოცხლეში ერთხელაც არ მიტირია (გარდა და-
 ბადებისა) მაგრამ როცა „ეშმაკის მთარახის“ № 37
 ლიუტერის უცოლოებისადმი მიმართული სიტყვები
 წაიკითხე, ცრემლები ვეღარ შევიკავე. ჩამოვეყრ-
 დნე ხელებს და ფიქრებს მივუცი თავი. ჩემი გო-
 ნების თვალთა წინ ელვის სისწრაფით გაიბრინა
 მივლმა ჩემმა ცხოვრებამ, ნაფიქრნაზრებმა, ნა-
 ხულმა. ლიუტერის სიტყვებმა ათასგვარი აზრები
 და კითხვები გამოიწვიეს ჩემში. ყოველ კითხვას,
 უბრალო სიტყვასაც კი პასუხს აძლევდა ჩემი ში-
 ნაგანი მე, რომელიც გაორებულიყო. ჩემი „მეს“
 გაორება, ერთმანეთში ბრძოლა ბოროტისა და კე-
 თილ ღმერთების ბრძოლას მომიგონებდა, თუშეცა
 ძალიან გამიჭირდა გამოამერკვია ჩემი „მეს.“ რო-
 მელი ნახევარი იყო კეთილი.

12 წელი ვსწავლობდი ქუთაისის ქართულ გიმ-
 ნაზიაში და, ქვბით არ ვიტყვი, ცუდათ არ ვსწავ-
 ლობდი. განსაკუთრებით ისტორია მიყვარდა და
 ყოველთვის გულდასმით უსმენდი ისტორიის მას-

წავლებლებს: ალ. გარსევანიშვილს, დიპ. უზნაძეს, მეტი კობახიძეს, ალ. წერეთელს.

მასხვს ამ უკანასკნელმა მთელი სამი ლექცია წავიკითხა ლიუტერის შესახებ. სიტყვა სიტყვით ვიგონებ ყველა მის ნათქვამს მაგრამ ლიუტერის იმ სიტყვებზე, რომელიც „ეშმაკის მათრახში“ მოყვანა, ალ. წერეთელს კრინტიც არ დაუძრავს.

— ჰქონია „მყუდრო ოჯახი“ და იმიტომ ვერ მოიგონა ეგ სიტყვებიო—უბასუხა ჩემს აზრს „მეს“ იმ ნაწილმა, რომელსაც მე ბოროტი დასაწყისი ვუწოდებ.

მაგრამ ბოროტ „მეს“ ყურადღება არ მივაქციე და ჩემი ფიქრთა სვლა განვაგდე.

ლმერთა ჩემო! ეს სიტყვები, რომ აღრე გსმენოდა? შეიძლება ახლა ცოლშვილიანი ვყოფილიყავი, მყუდრო ოჯახი მქონებოდა; იმ რესტორანების მაგიერ, რომელმაც კუქიც ამიშალა და ჯიბეში სრული ღვზორგანიზაცია შეიტანა, შინ, ოჯახში შესადილა. პატარა ბავშვები გარს შემოიხეხვიოდნენ, ცოლის აღერსი.

ო, ლიუტერ! შენ წმინდანი იყავი, როცა სთქვი: „ძვირფასო ახალგაზდებო! შეირთეთ ცოლები, დაქორწილდით! იცით რა მოსდევს ამას?“

— ვიცი, ვიცი—წამოიძახა ბოროტმა „მემ.“ გასკოცილებით ვიცი...

„მყუდრო ოჯახი!“

ხომ გახსოვს რა მყუდრო ოჯახი გქონდა

— განაგძობდა ბოროტი „მე“ ჩემდამი თქმის— ხა, ხა, ხა! რა „მყუდრო“ ოჯახი! ხა, ხა, ხა!

და ბოროტმა „მემ“ ისე გადაიხარხარა, რომ ერთი საათის განმავლობაში აგებულო ოცნებების კოშკი ერთ წამს დაინგრა.

კეთილი „მე“ ისევ შეეცადა ჩემი გულის აჩუყებას: მოსიყვარულე და ნაზი...

— სიღვრი! გასწყვეტია ბოროტმა „მემ“ სიტყვა კეთილ „მეს“ და თუმცა ვიცოდი, რომ ლიუტერმა „მოსიყვარულე და ნაზი ცოლი“ სთქვა და არა სიღვრი, მაგრამ ამ სიტყვამ ისეთი გავლენა იქონია ჩემზე, როგორც მანარზე ციგმა წყაღმა.

ჩემს ფიქრთა მსვლელობაში სწრაფი გადატეხა მოხდა. ცისფერი ოცნებები გაქრა და განვლილმა სინამდვილემ დაიჭირა მათი ადგილი. როცა წასუღოთა „სიამოვნებათა“ განცთებმა თვალწინ ჩამიქროლა მწარეთ ამოვიხიენეშე.

— არა მამაო ლიუტერ! თქვენ მართალი არ ხართ! მე გამოკთილებით ვიცი! ორჯერ „შევირთე ქალი: ერთხელ „კანონიერათ“, ე. ი. ეკლესიური, ქრისტიანული წესით და ერთხელაც „უკანონოთ“, ე. ი. სამოქალაქო წესით, მაგრამ ვერც ერთხელ მყუდრო ოჯახი ვერ შევქმენი. არ ვიცი როგორაა საქმე თქვენში, გერმანიაში, ხოლო აქ, საქართველოში მყუდრო ოჯახი არ არსებობს.

კარგია ლამაზი ცოლი, მაგრამ მაშინ როცა ის... სხვისია. სხვას მიმართეთ მამაო ლიუტერ მეგ სიტყვებით. დე მათ გამოსცადონ, ვისაც არ გამოუცდია და სხვისი გამოცდილება არ სჯერა. დიას! მე კი ორი მეყოფა, ბევრი გიახელით, მეტი აღარ მინდა!

ისე გამიტაცა ჩემმა ფიქრებმა, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა საკმაო ხმა მაღლათ ვთქვი და რადგან იმ ქამათ ივ. მგელაძის საკანდიტროში, ვიჯექე, ივანემ თვის თავზე მიიღო.

— ყმაწვილო, როგორ არ გინდა! ჯერ არაფერი მოგიხოვია!

— როგორ არა, ბ. ივანე! ორჯერ, ორჯერ. საეკლესიოთი და სამოქალაქოთი...

— ერთი სეფისკვერი 50 მან. ერთი ბულკიც 50 მან. ჩაი... ჩაინგარიშა ივანემ. ვადიხადეთ 350 მან. თუ კი სქამეთ მომმართა მე ანგარიშის გათავებისას.

— მე არაფერი არ მიქამია ბ. ივანე!

— ახლა არ თქვი ორიო.

— ცოლი, ბ. ივანე, ორი ცოლი შევირთე!

აა სიტყვებზე ივანემ პირჯარი გადაიწერა, ხოლო კოხტა თამრომ, პატარა თამარამ, ლოლამ სხვა „ქელერშებმა“ და სტუმრებმაც ისეთი სიცილი ასტეხეს რომ სირცხვილით კოქებამდე გავწითლდი. და საჩქაროთ გავიქეცი საკანდიტროდან. საერთო სიცილში მხოლოდ ივანეს სიტყვები მომესმა:

— რა კარგი ყმაწვილი იყო! რა დამართა, ნეტავ რაზე შეიშალა!..

გალსტუევი რიგზე მქონდა, შარვალი და სამოთხის კარები დახურული. რაზე იცინოდნენ ჯერაც ვერ გამოვიცა.

გრ. სლუჩაინი.

P. S. ბ. ბ. ეშმაკო და თავუნა! მე თქვენ უანგარობაში ექვი არასდროს არ შემედიოდა, მაგრამ „ეშმაკის მათრახის“ № 37 ძალიან დამაფიქრა, მთელი ნომერი სავსეა ცოლის შერთვისათვის სააგიტაციო წერილებით მე, ნებას არ მივცემ ჩემ თავს ვიფიქრო, რომ თქვენ გაუთხოვარ ქალებმა (რომელთა რიცხვი მეტათ გამოავლდა) მოგიყიდეს. არა. ამას ვხსნი ორგვართ: ან თქვენ შეგეცოდათ გაუთხოვარი ქალები, ანდა „შეგშურსთ უცოლო ყმაწვილების თავისუფლება, და რადგან თქვენ ორივე ცოლიანები ხართ, ერთ ტაფაში იწვიოთ, გადასწყვეტეთ გასწიოთ ცოლიანების სასარგებლოთ აგიტაცია: იქაება გამოჩნდეს ვინმე ბრიყვი და შეირთოს ცოლიო.

ყოველ შემთხვევაში იმედი, მაქვს, რომ ნებას მომცემთ უცოლოთა ბარტის სხელით ცოლის შერთვის საწინააღმდეგო ბრძოლა მეც ვაწარმოო.

გრ. სლ—ინი.

ბათუმის ვირთხები.



ვირთხა პისკულიანტი. ეჰ, ამხანაგო, ეს ნამდვილი სამოთხე იყო, არც მეტი, არც ნაკლები! მარტო მარინეს ბროსპეტი რათ ღირდა! ღმერთო ჩემო, რამდენი ვიყავით იქ ჩვენ ვირთხა პისკულიანტები და რა საქმეებს არ ვაქაბრავდით, სამოთხე იყო მაშ რა ჯანაბა!..

ნამდვილი ვირთხა. გამაგებინეთ თქვენი ღვთის გულისათვის რაშია საქმე? საკუთარ თვალსა და საკუთარ ყურს ვეღარ ვუჯერი. სიზმარში ვარ თუ ცხადში? თქვენ ვირთხა პისკულიანტებს გდევნიან, ეს გასაგებია, თქვენ ზეზე დადიხართ, მზის სინათლეზე სცხოვრობთ... ახლა რასაკვირველია გეწყინათ და გავიქირდებით სოროებში შეძრომა, მაგრამ ჩვენ, ჩვენ ჩვეულებრივ ვირთხებს რა დანაშაული მიგვიდღვის, ჩვენ რას გვეჩიან!.. ჩვენი უთამამაველობა უხსოვარი დროიდან სანიტარულ მოვალეობას ასრულებდა; მერმე სამუშაო რამდენი პეკონდა, ბაზარშიაც, ბორტშიაც... ეჰ, აცხონოს ღმერთმა, კარგი კაცი იყო ვენერალი კოკ-კოლდისი თქვენც განებივრებული ჰყავდით და ჩვენც ცხოვრებას არ გვიშლიდა. ღმერთო ჩემო, როგორ წახდა დრო! რა გინდა ქუჩაში რომ არ იყო: მშვენიერი აყროლებული ნაგვის გროვები, მკვდარი ძაღვები და კატები, ათასგვარი სხვა გასართობები და განა მარტო ქაჩებში, ეზოებში და სახლებში! ახლა კი! წესებია ესეც რაღა! საიდან ჩამოეჩხირა ეს ხმელ ხმელი წვერიანი კაცი! კამისარს ეძახიან ამხანაგ რაღა! დამჯდარიყო თავისთვის სახლში, ვინ რას ეჩიოდა? არა, ყველგან უნდა ჩაეჩხიროს, ყველგან წაჰყოს თავისი ცხვირი! სწორეთ მოგვაბეზრა თავი! ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი, მოსვენებას არ გვაძლევს არც დღითი და არც ღამით. ჯერ თქვენ მოგდგა მეფობარო და რაკი საქმე გამოეღია ახლა ჩვენზე მოიკალა. ჩვენ საწყად ხალხს რა დავგიშავებია! შერმე დემოკრატიულ მოხელეთ შოაქეს თავი! კარგი დემოკრატიობაა თქვენმა შზემ, საწყად ხალხს სული ამოჰხადო!

მოუგროვებიათ ვიღაც თავზე ხელ აღებული ყაჩაღები, დადიან ეზო-ეზო და ჩვენს სინსილას სპობენ. ერთად ერთი ნუგეში-ლა დაგვრჩენია!

ვირთხა პისკულიანტი. რა ნუგეში, მეგობარო?

ნამდვილი ვირთხა. უნდა ავიბარგოთ აქედან და გადავსახლდეთ. ვატყობ ამ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში პატიოსან ხალხს აღარ ეცხოვრება. მოეუყრი თავს ჩემს გვარეულობას და გავუკრავ საბჭოთა რუსეთისაკენ. აქ ნავთსადგურში ორი გემი სდგას ნოვოროსიიდან, მაინც ცარიელები წავლენ, ჩაეასხდებიან და წავალოთ.

ვირთხა პისკულიანტი. იქ რაღა ხეირს ნახავ, მეგობარო!

ნამდვილი ვირთხა. ნამდვილი სამოთხეა! იქ სულ სხვა წესებია! ფეხისადგილები იქ დერეფანსა და ფანჯრებში აქვთ გადმოტანილი... ქუჩებში ნულარ იკითხავ: ჩიტის რძე აკლია, სხვა ყველაფერია. მთელი წლობით აგროვებენ ჩვენთვის სანოვაგეს. ერთი ვირთხა ჩამოაყვია ამ წინაზე გემს, იმან გადმოშვა: ახლა საბჭოთა რუსეთში ცხოვრებას აღარაფერი სჯობია, ნამდვილი ვირთხების „სოციალიზმია“ გამეფებულია. აქ კი ვიღაც ბენია არის, თუ გენია ჩვენი დევენის მეტს აღარაფერს აკეთებს, ნეტავ ამდენი სამსახური მაინც არ მიგვიძოდეს! მოიხსენოს უფალმა გენერალი კუკ-კოლლისი, მისი დრო წაუშლელი დარჩება ჩემს მეხსიერებაში. (ეზოში ხმაურობა გაისმა)—უთუოდ მოდიან, აბა თავს ვუშველოთ... (ვირთხები იმალებიან!

ს ა მ ე გ რ ე ლ ა შ ი.



- რამ დავაღონა უტუია, რა დავემართა?
- ცხენი მომპარეს, ძმაო, ცხენი!
- მერე? არ იცი სად იზოვი ქურდს?
- აბა რა ვიცი შენი კირიმე.
- მიდი ჩემო ძმაო კომუნისტების ბიუროში ყველანი იქ არიან,

ს ი ზ მ ა რ ი

ვნახე სიზმარი, სიცხადის გვარი
 ალბათ ნაყოფი, ჩემი სამყოფი
 ბრძოლის ველისა,
 მთებისა ძირად, ლიხავის პირად,
 გაშლილ მინდორზედ მწვანე და სწორზედ
 აბჯართა კრება,
 რაზმი თოფების, ხიშტ-ქვეშ მყოფების,
 ხმალი, ღიახვარი, ცხენზე სახმარი,
 ანუ ჯირითი,
 სამხედრო ქორი „ბლერიოს“ ჯიშის
 თვით სიამაყე მტრის მგერელი შიშის
 ციური რისხვა.
 მცურავი ძალა სამხედრო სახით
 „ტარიელ“ მოამით „პატარა კახით“
 მოსრიალები,
 მოძრავი ციხე ჯავშანთა „გლახი“
 და „პროლეტარი“ საველე მებნი
 ზარბაზნებითურთ,
 რკინის გზის გმირი ზარბაზან ხშირი
 ჯავშანთა ზღუდე გმირების ბუდე
 ნომერ პირველი
 ბატარეა სხვა და სხვა ზომის
 წინ „გაუბიცი“ ბელადი ომის
 „უკან მორტირი“
 სამთო საველე ჩამწკრივებული
 „ლუის“ „მაქსიმა“ „კოლტის“ კრებული
 მათ აშშევენებდენ.
 და ეს საგნები თუჯის და რკინის,
 ვითა ნაცადი ქირის და ლხინის
 სიტყვას ამბობდენ.
 მკირე თათბირის შედგებათ გარედ,
 „მორტირი“ დასვეს შიგ თავჯდომარედ
 ამა კრებისა,
 კრების მიზანი და მოხსენება:
 ვის უნდა დართოს შეჯლიშმა ნება?
 „გაუბიცი“ ერგო
 წარსდგა მორტირი, მძიმე და ღინჯი,
 კრებას მოაგლო თვალი სასინჯი
 და განაცხადა:
 „ნდობის მადლობას გადაგიხდითო
 სიტყვას ვადა აქვს, თქვენით მიხვდითო
 დაბოლოვება.
 აზრი მკაფიო, მოკლე სწორეთო,
 მეტი სიტყვები მოიშორეთო
 ფრაზებიანი.
 მომხსენებელი ამ დეკრეტიოთო
 დროთ ისარგებლებს ორჯერ მეტიოთ
 საერთო წესით.
 კრება გახსნილად გამოაცხადა
 ორმოცი წუთი ეძლევა ვადა
 ორატორებსო,

სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელსო
 აქ ზარბაზნების უფროს „მხლებელსო“
 „გაუბიცი“ წარსდგა
 „ამხანაგებო და მგომრებო
 დაუშვრეტლო ცეცხლისა მთებო
 (წარმოსთქვა მძიმედ
 გვიან და მკაცრად გაუბიციურა)
 მისმა სიტყვებმა ყველგან შისცურა
 მსმენელთა გულში
 (დაბრკოლებები გაანადგურა
 მსმენელთა აზრში დასადაგურა)
 განუშორებლად.
 განვლილი ბარძლის სთქვა ანგარიში
 არც დამრცხება და არცა შიში
 ჩვენ არვიციოთო,
 რაც გამარჯვება ვიხილეთ დღესო
 თანხმობით, შრომით, შევქმენით ესო,
 ზედ დაუშაბა.
 და გადახედა ზოგ ინტრიგანებს
 ერთგულს თუ ორგულს პატარა ქმანებს
 ვით თავგებს კატამ.
 რა გაათავა მან მოხსენება,
 სხვა ორატორებს მიეცა ნება
 სიტყვების თქმისა;
 იდგა ჯირითი, გალესა ენა...
 ზოგი ხიშტებიც ამოიყენა
 თავის გარშემო,
 სულ ზარბაზნები ბატონობდაო
 ჩვენ უფლებებსაც ალარ სცნობდაო
 ბატარეა,
 ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ვალიო
 რაც წახდა არის მათი ბრალიო,
 ზარბაზნებისო.
 კვლავ ბრალდებები პირადი, მწარე
 მარა „მორტირმა“, ვით თავმჯდომარემ
 ის შეაჩერა.
 სიტყვა ხმაოს ერგო რიგით და წესით,
 წინ გაეხასრა პირი მას ლესვით
 მარმალილოზედ,
 სამთო ზარბაზანს ეკეთა მესხად
 ზედ დაეჯახა შვა ვასაჩეხად
 საბრალო ხმალი.
 ხელის შემშლელი არავინ ეცა,
 მარა კბილები გადაეკეცა,
 დაჩლუნგდა კიდვეც.
 ჯირითმა ხმალმა, ვერ დააჩინა
 გვერდზე იარა
 ბრალდება მათი კრება ალარც
 გაიზიარა.
 მომხსენებელმა ბოლო სიტყვაში,
 განმარტა რომა:
 დაფასებაში არგის არგებსო
 შური და წყრომა.

ჩვენ ვმუშაობდით რამდენათ ხელი
 შეგვიწყობდნენ დროში.
 თვით განიარაღება ბორცვისაგან
 კეთილი შრომა.
 შარა უცოდველს თუ ვინმეს ეძებთ
 მოქმედებაში,
 უქმია შრომა, ასეთს ვერ ნახავთ
 ამ ჩვენ კრებაში
 სულ სხვაა იმან ცოდვა შეგნებით
 თუ ჩაიდინა,
 ეჭვი არ არის მას მიუჩინოდ
 თავისი ბინა.
 შარა კეთება მინდობილ საქმის
 მისი ბუნება,
 ურო ძნელია ვინემ განხილვა,
 ან დაწუნება.
 წასულ შეტდომებს ნუ დაივიწყებთ,
 მომავალიზა
 დავსაზოთ გეგმა შემდეგი ბრძოლის
 გზა და კვალიზა“
 ჩემ სამწუხაროდ მე ამდროს კიდევ
 გამომეღვიძა
 არეცი კიდევ ნანას როს მიმღერს
 ლიანხვი ძიბა
 ბუტუნა

პატარა ფელეტონი

აღმაშფოთებელი ამბავი.

ამანაგებო! ბირველ ყოვლისა გთხოვთ ნუ აღელდებით. გთხოვთ ყველამ გულდამშვიდებით მოისმინოთ ეს აღმაშფოთებელი ამბავი.

სწორეთ გუშინ, სამშაბათ დილას კინალამ შეიწოთა ძაძვებით მივლილ საქართველო და კინალამ შეიქცოა შავი არსებით ჩვენი რესპუბლიკის გაზეთები.

სწორეთ გუშინ, სამშაბათ დილით, ვგრეთ წოდებულ ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დერეფანში მკვდარი ნახეს ჩვენი ჟურნალის ერთი თანამშრომელთაგანი ახ. ეშმაკი.

თქვენ უკვე დღევანდ! აკი გთხოვთ ნუ აღელდებით შეთქი!

მყისვე (სამი საათი არც კი გასულა) გაჩნდა სასწრაფო დახმარების ეტლი და ეშმაკი მხეილის საავითმყოფოსკენ გააქანეს.

ბელი მისი და თქვენი, რომ იმ დროს მეც რალაც ეშმაკად იქ აღმოვჩნდი და საავითმყოფოს გავაცანი მიცვალებულის ვ ნაობა.

მოელი საავითმყოფო ფეხზე დადგა. მოიტანეს თასგვარი მოსასულიერებელი წამალი და სულ მცირე ხნის შემდეგ ეშმაკმა თავისი ქუეყნა თვალები, ჯერ მარჯვენა და მერე მარცხენა, გაახლოა.

საერთო სიხარული და აღტაცება გამოიწვია ამ გარემოებაში. მეც მივარდი და საავითმყოფოს გამგეს ნიშნად დროში პარტივისცემისა მაგრა ხელი ჩამოვართვი.

ეშმაკი თან და თან მოსულიერდა. მიმოიხედა ირგვლივ და გაკვირვებით იკითხა, თუ საიდან მოხვდა ამდენ პარტიოსან საზოგადოებაში.

— შენ, მეგობარო, ცოცხალ-მკვდარი მოგიტანეს აქ ამ ორი საათის წინ. მიუფე მე.

— როგორ თუ ცოცხალ-მკვდარი?

— ცოცხალ-მკვდარი, სულს ვერ ითქვამდი. რამდენი ვიტრითო..

— ვერაფერი გამიგია...

— ცენტრო ბანკის დერეფანში გნახეს პატრონო გულ შეწუხებული. წარმოსთქვა სწრაფი დახმარების ფერშალი.

— ნუ გამახსენებთ!... ნუ, ნუ, ნუ... შეტკივლა ეშმაკმა და მცირე ხნით კვლავ დაბნდა.

მაყურებელი ხალხი მალე წავიდ წამოვიდა ამ სასიხარულო ამბის გასავრცელებლათ, ხოლო მე, როგორც ქირისუფალი დივრჩი ამხანაგთან, ვიდრე ის სრულიად არ გამოეჩვენებოდა და ამ საშიშარი შემთხვევის მიზეზს არ გამაგებინებდა.

ეს ბედნიერი წამიც მალე დამიდა. ეშმაკი მომჯობინდა, ძაღლანე მოიკრიფა, ფერზე მოვიდა. ჩემი შეხვედრა ძლიერ ესომოგნა და ამ სასახურისათვის ერთი თვის საავარაკოთ გაშვება აღმოთქვა.

— აბა რას ამბობ, თუ ძმა ხარ! მე სასამოგნოთ ისიც მეყოფა რომ გაცოცხლო და ამ სოფლად მობრუნებულს გხედავ, მაგრამ თუ მაინცა და მაინც გინდა ჩემი სამსახური დამიფასო მითხარ რა იყო მიზეზი ამ უბედურებისა.

— ძლიერ მიჭირს, ჩემო კარგო, მაგრამ შენ მაინც უნდა გითხრა და ეშმაკმა დაიწყა!

— დღეს, სამშაბათ დილით ჩვეულებისამებრ რედაქციისკენ ვავემზავრე. ტრამვის ვაგონს თითქმის მთელი საათი ველოდე. ბოლოს როგორც იქნა ვიშოვე ადგილი. ვაგონში ჩამოდენიემ ნაცნობი კაცი გამოიჩინდა და ერთი უცნობი მანდილოსანი, ჩვენი ვაგონი ჩვეულებრივის სიჩქარით და ჩუბით ვავემართა ჯერ პლენანოვის ქუჩით, შემდეგ შეუხვია ვერის ხილისაკენ, იქიდან ავიდით ვერის აღმართზე და გაჩერდით ზემელის აფთიაქის წინ..

აქ ეშმაკს ხმა აუკანკალდა და სხეველ ფერი გაუქრა. ეტყობოდა უჭირდა ლაპარაკი, მაგრამ მოიკრიფა ძაღლანე და განაგრძო.

— ზემელის აფთიაქთან საზოგადოთ ბევრი ხალხი ჩამოდის ვაგონიდან. ახლაც სე მოხდა. ჩემს უკან რალაც ჩოჩქალი შეიქნა. დიაცის წვრილმა ხმამ პერი გაჰკვეთა და ჩემს ყურს შეერქო. მე მყის მოვტრიალდი და დავინახე როგორის

ვაქცა(ური მოხერხებით უკუაგლო ვიდაცამ ახოვანმა რაინდმა დედაკაცი ვაგონის საფეხურიდან, ავიდა და დაჯდა.

— უზრდელი! სარგებლობს თავისი ღონით... გაბრაზებით ჩაილაპარაკა უკუგდებულმა მანდილოსანმა.

— გაეთრიე იქით! იყო რაინდის პასუხი. უნდა მოგახსენო, ჩემო მორიელო, რომ ლაპარაკი რუსულათ სწარმოებდა და სიტყვა სიტყვით ყველაფერს ვერ გადმოჰქცემ. ეს საქიროც არ არის.

რაინდის მოქმედებამ ჩუმი, მაგრამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. გაწმინდებული მანდილოსანი კვლავ განაგრძობდა:

— უზრდელი ყოფილა, პირველი მე ვიყავი, გამომაგლო და თითონ დაჯდა.

გამარჯვებული რაინდიც არ დარჩა ვალში მიუბრუნია და...

აქ ეშმაკს კვლავ გული შეუწუხდა, მაგრამ ჩქარა მოვიდა გონს და განაგრძო:

— მიუბრუნდა დედაკაცს, ჩემო მორიელო და იცი რა?.. დედა შეაგინა... რუსულათ კი შეაგინა, მაგრამ მაინც დედა შეაგინა. მთელმა ვაგონმა გაიგონა მისი საზარელი სიტყვები. ყველანი აღშფოთდნენ. შეც რასაკვირველია.

— ნეტავ რა კაცი უნდა იყოს ასეთი უსიცივლილო? ჩაილაპარაკა ერთმა ჩემმა მეზობელმა.

— როგორ არა სცხვენია ინტელიგენტ კაცს! შენიშნა მეორემ.

— ინტელიგენტი კი არა ხამია, დაუმატა მესამემ.

— ალბათ სპეკულიანტი იქნება დასძინა მეოთხემ.

უზრდელი კი ყოფილა! წარმოსთქვა მესუთემ და ასე ბოლომდე. ყველამ გამოსთქვა თავისი აზრი.

მე, ჩემო მორიელო, ძლიერ ავდილდი, მაგრამ ხმა არ ამომიღია. ვფიქრობდი:

— ალბათ ახალ ჩამოსულია საკომუნისტო რუსეთიდან და ასე ავდილათ ვერ შეეჩვია ჩვენს კონტრრევოლუციონურ კილოს მითქი, მიუხედავად ამისა მაინც ძლიერ მომინდა მისი ვინაობის გაგება. ამ მიზნით აღარ ჩამოვხტი ვაგონიდან. წავედით. გავიარეთ რუსთაველის ქუჩა. გავედით დამფუძნებელი ქუჩაზე. იქიდან თავისუფლების მოედანზე. აქ ჩვენი რაინდი ჩამოხტა, მასთან მეც. გაუხვია ქარვასლის წინა ქვაფენილზე და იქიდან პუშკინის ქუჩა გიდა! ვრა. მეც რასაკვირვებულად მივყავები, როგორც აჩრდილი. რაინდი შევიდა იმ დიდ კარებში, რომელსაც აწერია: „რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი“ და აუყუა კიბეს. მეორე სართულში მიუხვია მარცხნივ და შევიდა დერეფანში. მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ვფიქრობდი: ეს რაინდი ალბათ ვინმე უცხოელია, აქ ჩვენში შემოხიზნული მითქი და ვხედავ, რომ სამრეწველო ბანკის დერეფანში შევიდა. მეც რასაკვირველია თან შევყავი. დერეფანში აუარებელი ქუდები ეწყო თაროზე და აგრეთვე მრავალი ჯოხები ეკიდა.

— ბატონო, ეს თეთრ პიჯაკიანი ბატონი, ახლა რომ შევიდა ბანკის დირექტორი ბრძანდებამ? შევეკითხე თავაზიანათ მეკარეს.

— არა ბატონო, ეს დირექტორის ამხანაგია! იყო პასუხი.

— რა გვარი ბრძანდებამ?

— გიგინეიშვილი ვახლავთ.

მე მეტი აღარაფერი მახსოვს. ამ გვარის ვაგონებზე ალბათ გული შემეწუხდა და შემდეგ რა მოხდა შენ ჩემზე უკეთ იცი.

ამით გაათავა ეშმაკმა და ამით ვათავებ მეც. მორიელო.



შეღას რაღ აკონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.



— რაო, შო, შოოო! შეხედე როგორა სკამენ ერთმანეთს გვარდიელი და ჯარის-კაცი! ახლა კი კაპუტ საქართველოვ!

მიიღება სულის მოწერა

„მშენებლის მათრახი“

ქურონალი თვეში ღირს 60 მან. გამოწერა შეიძლება მსოფლიო სხმი თვით, ყუასის გადახდა წინდაწინ არის სუჭირო.

ქურონალში დასაბუქდათ მიიღება აგრეთვე **განსხადებები**— შეღავათიან ფასებში.

რელაქცია მოთავსებულია რუსთაველის პრესბექტზე, № 24 (ყოფილი გოლოვინის) და ღიას ღილის 8—2 საათამდე.